

სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ“

მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით მომზადებული
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	6
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა - განმარტებითი შენიშვნები	10
დასკვნის ბოლო გვერდი	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ“-ის მფლობელებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ“-ის (შემდეგში „კომპანია“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნულ თარიღში დამთავრებული კონსოლიდირებული წლის სრული შემოსავლის, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძვლის“ ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მის ფინანსურ საქმიანობას და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნულ თარიღში დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაძლო მხარისგან დასტურის წერილები და ვერც ალტერნატიული აუდიტორული პროცედურებით შევძელით მიგვედო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები სავაჭრო მოთხოვნების მუხლში შემავალ რამდენიმე დებიტორული ნაშთის არსებობაზე, სისრულესა და სიზუსტეზე 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შეადგენს შესაბამისად 1,455 ათას ლარს და 1,109 ათას ლარს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ შესაბამის თანხებთან მიმართებაში.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან. ამავდროულად ჩვენ ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაბამის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, მმართველობის ანგარიშგება შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მიერ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ ეს სხვა ინფორმაცია არსებითად არასწორია, ჩვენ უნდა განვაცხადოთ ეს ფაქტი.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- იმ წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, თანხვედრაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან;
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია მისთვის განსაზღვრულ მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მთლიანად თავისუფალია უნებლიე თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე.

როგორც აუდიტის ნაწილი ასს-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის

მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღეკვეთის არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი მოსაზრება, არის მანუჩარ დვალი.

მანუჩარ დვალი

შპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით

1 ოქტომბერი, 2024 წ.

თბილისი, საქართველო

მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ასსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები აღევატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის პირობითი მოსაზრება, არის მანუჩარ დვალი.

მანუჩარ დვალი

მპს „ქუდოს ჯორჯიას“ სახელით



1 ოქტომბერი, 2024 წ.

თბილისი, საქართველო

სს „სასატუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ“
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება (ათას ლარში)
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2023 წ.	2022 წ.
ამონაგები რეალიზაციიდან	4	32,122	22,973
ამონაგების მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	5	(23,028)	(18,060)
საერთო მოგება		9,093	4,913
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6	791	801
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(7,088)	(4,661)
კომერციული ხარჯები	8	(524)	(284)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(373)	(140)
საოპერაციო მოგება		1,899	629
ფინანსური შემოსავალი		41	51
ფინანსური ხარჯი		(2)	(11)
უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი		4	3
მოგება დაბეგვრამდე		1,943	671
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის სრული შემოსავალი განგრძობითი ოპერაციებიდან		1,943	671
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული ზარალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		1,943	671
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნებელი			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		1,586	638
არამაკონტროლებელი წილი		357	33
წლის სრული შემოსავალი		1,943	671

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს

გენერალური დირექტორი:

უჩა უგულავა

გვერდებზე 10-25 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემიგრუპ“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ათას ლარში)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	9,032	9,099
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოებში	10	750	750
არამატერიალური აქტივები		21	20
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,803	9,870
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11	1,203	1,115
სავაჭრო მოთხოვნები	12	1,976	1,497
გაცემული სესხები		-	-
ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	13	172	130
ფული და ფულის ექვივალენტები	14	1,927	785
საგადასახადო აქტივი		193	130
სულ მიმდინარე აქტივები		5,471	3,656
სულ აქტივები		15,273	13,526
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	68	68
საემისიო კაპიტალი	15	4,458	4,458
სხვა რეზერვი	15	1,077	1,077
გაუნაწილებელი მოგება		4,484	3,116
სულ კაპიტალი		10,086	8,717
არამაკონტროლებელი წილი		2,379	2,153
სულ კაპიტალი		12,465	10,871
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		327	286
სავაჭრო ვალდებულებები	16	1,853	1,671
მიღებული ავანსები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17	628	698
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,808	2,656
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		15,273	13,526

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს

გენერალური დირექტორი:

უჩა უგულავა

გვერდებზე 10-25 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ათას ლარში)
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	სხვა რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
31/12/2021	68	4,458	1,077	3,365	8,967	2,178	11,145
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	(888)	(888)	(58)	(946)
პერიოდის შედეგი	-	-	-	638	638	33	671
31/12/2022	68	4,458	1,077	3,115	8,717	2,153	10,871
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	(217)	(217)	(132)	(349)
პერიოდის შედეგი	-	-	-	1,586	1,586	357	1,943
31/12/2023	68	4,458	1,077	4,484	10,086	2,378	12,464

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს

გენერალური დირექტორი:

უჩა უგულავა

გვერდებზე 10-25 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ“
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ათას ლარში)
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

პირდაპირი მეთოდი

	2023 წ.	2022 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	33,012	25,339
მომწოდებელთათვის გადახდილი ფული	(19,035)	(15,558)
თანამშრომელთათვის გადახდილი ფული	(7,987)	(5,348)
გადასახადები და სხვა სავალდებულო გადასახდელები	(4,548)	(2,897)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	1,442	1,536
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
პროცენტური სესხები	-	40
ინვესტიციები	-	(499)
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	-	(459)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
საპროცენტო შემოსავალი	4	-
მიღებული დივიდენდი	-	89
გადახდილი დივიდენდი	(303)	(932)
გადახდილი პროცენტი	-	-
სესხის დაფარვა	-	-
წმინდა ფული გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში	(299)	(843)
წმინდა ფულადი ნაკადები პერიოდისთვის	1,143	234
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	784	551
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,927	785

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს

გენერალური დირექტორი:

უჩა უგულავა

გვერდებზე 10-25 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ“
კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება (ათას ლარში)
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

	შენიშვნები	2023 წ.	2022 წ.
ამონაგები რეალიზაციიდან	4	32,122	22,973
ამონაგების მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	5	(23,028)	(18,060)
საერთო მოგება		9,093	4,913
სხვა საოპერაციო შემოსავალი	6	791	801
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	7	(7,088)	(4,661)
კომერციული ხარჯები	8	(524)	(284)
სხვა საოპერაციო ხარჯი		(373)	(140)
საოპერაციო მოგება		1,899	629
ფინანსური შემოსავალი		41	51
ფინანსური ხარჯი		(2)	(11)
უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი		4	3
მოგება დაბეგრამდე		1,943	671
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის სრული შემოსავალი განგრძობითი ოპერაციებიდან		1,943	671
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული ზარალი		-	-
წლის სრული შემოსავალი		1,943	671
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვრებელი			
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე		1,586	638
არამაკონტროლებელი წილი		357	33
წლის სრული შემოსავალი		1,943	671

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბრის

გენერალური დირექტორი:

უჩა უგულავა



გვერდებზე 10-25 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ“
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ათას ლარში)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	9,032	9,099
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოებში	10	750	750
არამატერიალური აქტივები		21	20
სულ გრძელვადიანი აქტივები		9,803	9,870
მიმდინარე აქტივები			
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	11	1,203	1,115
სავაჭრო მოთხოვნები	12	1,976	1,497
გაცემული სესხები		-	-
ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	13	172	130
ფული და ფულის ექვივალენტები	14	1,927	785
საგადასახადო აქტივი		193	130
სულ მიმდინარე აქტივები		5,471	3,656
სულ აქტივები		15,273	13,526
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	15	68	68
საემისიო კაპიტალი	15	4,458	4,458
სხვა რეზერვი	15	1,077	1,077
გაუნაწილებელი მოგება		4,484	3,116
სულ კაპიტალი		10,086	8,717
არამაკონტროლებელი წილი		2,379	2,153
სულ კაპიტალი		12,465	10,871
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები		-	-
საგადასახადო ვალდებულებები		327	286
სავაჭრო ვალდებულებები	16	1,853	1,671
მიღებული ავანსები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	17	628	698
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,808	2,656
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		15,273	13,526

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს

გენერალური დირექტორი:

უჩა უგულავა



გვერდებზე 10-25 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპი“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება (ათას ლარში)
 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	სხვა რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი	არამაკონტროლებელი წილი	სულ კაპიტალი
31/12/2021	68	4,458	1,077	3,365	8,967	2,178	11,145
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	(888)	(888)	(58)	(946)
პერიოდის შედეგი	-	-	-	638	638	33	671
31/12/2022	68	4,458	1,077	3,115	8,717	2,153	10,871
დივიდენდის გამოცხადება	-	-	-	(217)	(217)	(132)	(349)
პერიოდის შედეგი	-	-	-	1,586	1,586	357	1,943
31/12/2023	68	4,458	1,077	4,484	10,086	2,378	12,464

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 1
 ოქტომბერს

გენერალური დირექტორი:

უჩა უგულავა



გვერდებზე 10-25 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების
 განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ“
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ათას ლარში)
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

პირდაპირი მეთოდი

	2023 წ.	2022 წ.
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფული	33,012	25,339
მომწოდებელთათვის გადახდილი ფული	(19,035)	(15,558)
თანამშრომელთათვის გადახდილი ფული	(7,987)	(5,348)
გადასახადები და სხვა სავალდებულო გადასახდელები	(4,548)	(2,897)
საოპერაციო საქმიანობის შედეგად მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	1,442	1,536
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
პროცენტიანი სესხები	-	40
ინვესტიციები	-	(499)
წმინდა ფული გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში	-	(459)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		
საპროცენტო შემოსავალი	4	-
მიღებული დივიდენდი	-	89
გადახდილი დივიდენდი	(303)	(932)
გადახდილი პროცენტი	-	-
სესხის დაფარვა	-	-
წმინდა ფული გამოყენებული ფინანსურ საქმიანობაში	(299)	(843)
წმინდა ფულადი ნაკადები პერიოდისთვის	1,143	234
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	784	551
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,927	785

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს

გენერალური დირექტორი:

უჩა უგულავა



გვერდებზე 10-25 მოცემული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა იხილეთ გვერდებზე 3-5.

1. შესავალი

ჯგუფი და მისი საქმიანობა

სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემგრუპ“ (შემდგომში „ჯგუფი“) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2005 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205073016.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ემგრუპის ბრენდის ქვეშ საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სიდიდის ჰორეკა ობიექტების მართვა. ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის მის მართვაში შედიოდა 5 სხვადასხვა კონცეფციისა და საფასო სეგმენტზე პოზიციონირებული პროექტი:

რესტორნები:

- მეტეხის ჩრდილში;
- პურის სახლი;
- მასპინძელი;
- ოტიუმი;
- უბანი.

ჰორეკა სექტორის ობიექტების მართვის გარდა, კომპანია უზრუნველყოფს მსხვილი ორგანიზაციებისთვის სათაო ოფისებისა და სავსე ობიექტების მენეჯმენტს, მოვლა-შენახვისა და ქეითერინგის მომსახურებას.

კომპანია აგრეთვე უზრუნველყოფს BP საქართველოს დისტანციური ობიექტებისთვის ბანაკის მენეჯმენტს, მოვლა-შენახვისა და ქეითერინგის მომსახურებას, ასევე, BP-ის თბილისის ოფისის ქეითერინგის მომსახურებას ("BP პროექტი"). BP-ისთან სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში კომპანია წარმოადგენს რწმუნებულს.

კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ჩანტლადის ქუჩა N40. კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის ერთსა და იმავე მისამართზე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია შემდეგი საწარმოების (ერთად „ჯგუფი“) წილებს ფლობდა:

		წილი/ხმის უფლება (%)	
შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	2023	2022
შპს „კოლორიტი“	უძრავი ქონების მართვა	50%	50%
შპს „ხოშტარია 2“	უძრავი ქონების მართვა	100%	100%
შპს „ჰორეკა ოპერატორი“	უძრავი ქონების მართვა	100%	75%

დეტალური ინფორმაცია კომპანიის აქციონერების შესახებ მოცემულია მე-16 შენიშვნაში.

კომპანიის დირექტორი გახლავთ უჩა უგულავა.

შვილობილი კომპანიები

შპს „კოლორიტისა“, შპს „ხოშტარია“ და შპს „ჰორეკა ოპერატორი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დედა კომპანიისთვის სამართავად გადაცემული ჰორეკა ობიექტების ფლობა და გაქირავება. ორივე კომპანიის შემთხვევაში საკუთრებას წარმოადგენს მხოლოდ სამართავად გადაცემული უძრავი ქონება.

შპს კოლორიტი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კოლორიტი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომერი 206079312, დარეგისტრირებულია 1997 წლის 11 სექტემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ისანი-სამგორის რაიონში, ქ. წამებულის გამზ., N29ა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები არიან:

დასახელება	% წილი
სააქციო საზოგადოება სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი ემგრუპ	50%
ირმა პაპაშვილი	16.67%
დავით დუმბაძე	33.33%

დირექტორი: ანდრო შენგელია

შპს ხოშტარია 2

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხოშტარია 2“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომერი 404589147, დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ 2019 წლის 29 ნოემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, თამარ აბაკელიას ქ., N 3ა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები არიან:

დასახელება	% წილი
სააქციო საზოგადოება სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი ემგრუპ	100%

დირექტორი: ვახტანგ გოგუაძე

შპს ჰორეკა ოპერატორი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „ჰორეკა ოპერატორი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომერი 406371439, დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ 2022 წლის 20 ივლისს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, თენგიზ ჩანტლადის ქუჩა, N 40; თბილისი, დიდი ლილო, თეთრი ხევის დასახლება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები არიან:

დასახელება	% წილი
სააქციო საზოგადოება სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი ემ გრუპ	100%

შპს ელვისი

შპს ელვისი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელვისი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომერი 405405477, დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ 2020 წლის 30 ივლისს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ირაკლი აბაშიძის ქ., N 3, ბ. 11.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები არიან:

დასახელება	% წილი
სააქციო საზოგადოება სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი ემ გრუპ	30%
გიორგი ოთიაშვილი	7%
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ლემონდუ გროუს კაპიტალი	24.5%
თორნიკე ტურიაშვილი	5.25%
გიორგი კონტუაძე	2.75%
გიორგი მორდესაშვილი	15.25%
ლუკა ჯაფარიძე	7.625%
ნიკა ხაზარაძე	7.625%

დირექტორი: გიორგი ყანაველი

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

ჯგუფის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოდგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში

არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ზანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
1 USD/GEL	2.6894	2.7020
1 EUR/GEL	2.9753	2.8844

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბუთს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) თანახმად, რომლებიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები შედგება კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისა და განმარტებითი შენიშვნებისგან 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე მოიცავს შესადარის ინფორმაციას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შეფასების საფუძველი

შეფასების საფუძველად გამოყენებულია ისტორიული ღირებულების საფუძველი.

კონსოლიდაციის საფუძველი

წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით; 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის დამთავრებული წლის კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებას, ამავე პერიოდის კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას და კონსოლიდირებულ საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

შვილობილი კომპანიები

შვილობილი საწარმო არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს ჯგუფი. კონტროლი ნიშნავს სხვა საწარმოს ფინანსური და სამეურნეო პოლიტიკის მართვის უფლებამოსილებას, მისი საქმიანობიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების მიზნით. იგულისხმება, რომ კონტროლი არსებობს, როდესაც მშობელი საწარმო, პირდაპირ, ან არაპირდაპირ, შვილობილი საწარმოების მეშვეობით, ფლობს საწარმოს ხმის უფლებების ნახევარზე მეტს. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია ამ დაშვების უარყოფა, როდესაც აშკარად შეიძლება იმის დემონსტრირება, რომ ასეთი საკუთრება არ გულისხმობს კონტროლს.

ჯგუფი ასახავს საწარმოთა გაერთიანებას შეძენის მეთოდით, როცა კონტროლის უფლება გადმოდის ჯგუფზე. შეფასებული გადაცემული კომპენსაცია ზოგადად საჭიროებს სამართლიანი ღირებულებით შეფასებას, ისევე როგორც შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ელიმინირებულია შიდა ჯგუფური ნაშთები და ოპერაციები, ასევე, ყველა არარეალურებული შემოსავალი და ხარჯი, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან. არამაკონტროლებელი წილი დგინდება შეძენის თარიღისთვის შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციულად.

ჯგუფი გუდვილის შეფასებას ახდენს შემდგომი თარიღისთვის, როგორც:

- განხორციელებული გადახდების სამართლიან ღირებულებას; დამატებული
- არამაკონტროლებელი წილის აღიარებული თანხა შესაძენ კომპანიაში; დამატებული
- თუ საწარმოს გაერთიანება ხდება ეტაპობრივად, მანამდე არსებული მონაწილეობის წილი შესაძენ კომპანიაში; გამოკლებული
- იდენტიფიცირებული შემდგომი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების წმინდა აღიარებული თანხა (ძირითადად, სამართლიანი ღირებულება).

თუ ნამატი უარყოფითია, ხელსაყრელი შესყიდვიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება უშუალოდ მოგება-ზარალში. გადაცემული კომპენსაცია არ მოიცავს თანხას, მანამდე არსებულ ურთიერთობის დარეგულირებისათვის. ასეთი თანხები ზოგადად აღიარდება მოგება-ზარალში.

ოპერაციის დანახარჯები, გარდა იმისა, რომელიც დაკავშირებულია სესხის ან წილობრივი ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან, რომელსაც ჯგუფი გასწევს საწარმოთა გაერთიანებასთან მიმართებაში, აღიარდება ხარჯებში მათი წარმოშობისთანავე. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. ყველა თანხის შეგროვებას თანხის ანაზღაურების მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ინვესტიციები

შვილობილ საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღიარდება თვითღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

საპენსიო შენატანები

2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და ჯგუფს ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი

თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები.

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი დანახარჯები

შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება.

დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუმთავრებელი მშენებლობის დანახარჯები მოიცავს ძირითადი საშუალებების შექმნისა და მშენებლობის ხარჯებს. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში შედის მათი შექმნისთვის და მშენებლობისთვის გამოყენებული მასალები და შრომის ანაზღაურება; იმ ძირითადი საშუალებების ცვეთა, რომელიც მოწინააღმდეგაზს ღებულობს მათ შექმნაში და ასევე სხვა სახის ზედნადები ხარჯები. დაუმთავრებელი მშენებლობის ღირებულებაში ასევე გაითვალისწინება კონტრაქტორებისთვის გადახდილი ავანსები, რაზეც მიმდინარეობდა სამუშაოები ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის.

დაუმთავრებელი მშენებლობა მაშინ შედის ექსპლუატაციაში და მაშინ იწყება ცვეთის დარიცხვა, როდესაც იგი მოყვანილია იმ კონდიციაში და მდგომარეობაში, რომ კომპანიას შეუძლია მისი გამოყენება დასახული მიზნისათვის.

ცვეთა

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ მოხდა მისი აღიარების შეწყვეტა.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	3-5
ოფისის აღჭურვილობა	3-5
სატრანსპორტო საშუალებები	7
სხვა ძირითადი საშუალებები	15

არამატერიალური აქტივები

აღიარება და შეფასება

არამატერიალური აქტივები განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია

ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
პროგრამული უზრუნველყოფა	7
სხვა	3-7

მარაგები

ჯგუფის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და

მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

ჯგუფი მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

წინასწარი გადახდები

წინასწარი გადახდები გამოხატულია ფაქტიური ღირებულებით, საეჭვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდა დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც თავისთავად კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი თავდაპირველი აღიარებისას. აქტივების შეძენისთვის წინასწარი გადახდა გარდაიქმნება აქტივის მიმდინარე საბალანსო ღირებულებად, მას შემდეგ, რაც ჯგუფმა მიიღო კონტროლი აქტივებზე და სავარაუდოა, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი გადაეცემა ჯგუფს. თუ არსებობს საფუძველი, რომ წინასწარ გადახდილი თანხის სანაცვლოდ არ მოხდება საქონლის ან მომსახურების მიღება, ხდება ავანსის გადაფასება და საკურსო სხვაობა აისახება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები

სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო

დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. ჯგუფის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები

ჯგუფის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

დამატებული ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი

ჯგუფის ავტორიზებული სააქციო კაპიტალი განისაზღვრება ჯგუფის წესდებით. წესდების ცვლილება ხორციელდება მხოლოდ მფლობელთა გადაწყვეტილებით. ავტორიზებული და სრულად შევსებული კაპიტალი აღიარდება სააქციო კაპიტალის სახით ჯგუფის კაპიტალში. აქციების ნომინალური ღირებულებაზე ნამეტი და მეწილეების მიერ განხორციელებული სხვა ფულადი კონტრიბუციები აღიარდება საემისიო კაპიტალად.

ამონაგების აღიარება

ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას. ჯგუფი აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

ჯგუფი ამონაგებში რთავს მხოლოდ საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის შესაბამის თანხას. სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც ჯგუფი რწმუნებულის როლში გამოდის, ამონაგებში უნდა ჩართოს მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები. მარწმუნებლის სახელით ამოღებული თანხები საწარმოს ამონაგები არ არის. ჯგუფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა ბიპის სხვადასხვა ლოკაციების

ქეითერინგული და ლოჯისტიკური მომსახურება. ლოჯისტიკური მომსახურებების დიდი ნაწილი დაკლასიფიცირებულია როგორც სააგენტო ურთიერთობები და შემოსავლად ნაღარებია მხოლოდ ჯგუფის კუთვნილი საკომისიო.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ ჯგუფი განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

დივიდენდი

შვილობილი საწარმოსგან მიღებული დივიდენდები აღიარდება შემოსავლად მხოლოდ მაშინ, როდესაც ძალაში შევა ჯგუფის უფლება დივიდენდების მიღების შესახებ.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვეთება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით

ჯგუფი ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით.

აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში

- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიწულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ჯგუფი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ჯგუფი აფასებს არსებობს თუ არა იმის ნიშანი რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია. თუ არსებობს საკმარისი ნიშნები გაუფასურებისთვის, აქტივის ღირებულება მცირდება რეზერვის საშუალებით და ზარალის თანხა აღიარდება როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯი. გაუფასურების ჯგუფური შეფასების მიზნით დებიტორული დავალიანება დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების საფუძველზე.

ასეთი მახასიათებლები შეესაბამება სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებას ასეთი აქტივების ჯგუფებისთვის, თითოეულ კატეგორიას განსაზღვრული აქვს ამ კატეგორიისთვის სპეციფიურ გაუფასურების რეზერვი. მნიშვნელოვანი მოთხოვნები თავდაპირველად გაუფასურებაზე ფასდება ინდივიდუალურად. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და ჯგუფის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას,

ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ ჯგუფს დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

4. ამონაგები რეალიზაციიდან

	2023 წ.	2022 წ.
სარესტორნე მომსახურება	19,364	12,496
ქეითერინგული მომსახურება	10,050	9,539
სხვა	2,707	938
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	32,122	22,973

BP -ის პროექტის ფარგლებში არსებობს გარკვეული გარიგებები, სადაც ჯგუფი მოქმედებს მომხმარებლის სახელით, რათა შეიძინოს სხვადასხვა საქონელი და მომსახურება. ჯგუფი აღნიშნულ გარიგებებში მოქმედებს როგორც რწმუნებული. ჯგუფი ასახავს ამ შემოსავლებს იმ მოცულობით, რომლითაც იგი ინარჩუნებს რწმუნებულის მომსახურებას.

5. ამონაგების მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები

	2023 წ.	2022 წ.
ხელფასის ხარჯი	7,863	5,683
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7,773	6,162
ობიექტების იჯარის ხარჯი	2,132	1,625
რეალიზებული სასმელების თვითღირებულება	1,420	981
დამხმარე მასალების ხარჯი	650	613
კომუნალური გადასახადი	924	678
ცვეთა და ამორტიზაცია	106	96
სხვა პირდაპირი ხარჯი	2,160	2,223
სულ ამონაგების მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	23,028	18,060

6. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2023 წ.	2022 წ.
მარკეტინგული მომსახურებიდან მიღებული შემოსავლები	191	158
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი	-	5
ინვენტარიზაციის შედეგები	81	114
სხვა საოპერაციო შემოსავალი	520	524
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	791	800

7. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023 წ.	2022 წ.
თანამშრომელთა სარგებელი	3,961	2,728
ტრანსპორტირების ხარჯი	569	443
დაცვის ხარჯები	126	138
ბანკის საკომისიო	551	159
კომუნალური ხარჯები	57	16

სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემიგრუპ“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

იჯარა	466	199
დაზღვევა	58	39
საგადასახადო ხარჯი	15	21
სხვა ხარჯები	1,285	917
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	7,088	4,661

8. კომერციული ხარჯები

	2023 წ.	2022 წ.
მარკეტინგის ხარჯი	264	128
გაყიდვის ხარჯები	260	156
სულ კომერციული ხარჯები	524	284

9. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობები	მანქანა დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	2,545	6,254	517	750	259	116	10,440
შემოსვლა	-	42	74	584	-	312	1,012
გასვლა/ჩამოწერა	-	-	(3)	(30)	-	(53)	(86)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	2,545	6,295	588	1,304	259	375	11,366
შემოსვლა	-	5	31	111	280	122	549
გასვლა/ჩამოწერა	-	-	(3)	(15)	(123)	(75)	(215)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	2,545	6,301	615	1,400	416	422	11,699
დაგროვილი ცვეთა							
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	-	(951)	(196)	(553)	(136)	(61)	(1,897)
ცვეთის ხარჯი	-	(153)	(47)	(117)	(27)	(35)	(379)
გასვლა	-	-	2	2	-	4	9
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	-	(1,103)	(241)	(667)	(163)	(92)	(2,267)
ცვეთის ხარჯი	-	(130)	(48)	(156)	(36)	(87)	(456)
გასვლა	-	-	1	2	53	-	56
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	-	(1,233)	(288)	(820)	(147)	(178)	(2,667)
საბალანსო ღირებულება							
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	2,545	5,303	321	197	123	55	8,543

სს „სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემიგრუპ“
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
თანხები მოცემულია ათას ლარში

ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	2,545	5,192	346	637	96	283	9,099
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	2,545	5,068	327	579	269	244	9,032

10. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
შპს ელვისი	750	750
სულ ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში	750	750

11. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სასმელები	330	139
საკვები ინგრედიენტები	322	431
სახარჯი და სხვა დამხმარე მასალები	550	545
სულ მარაგები	1,203	1,115

12. სავაჭრო მოთხოვნები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სავაჭრო მოთხოვნები	2,118	2,383
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(142)	(142)
სულ სავაჭრო მოთხოვნები	1,976	2,241

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის მოძრაობა:

	2023	2022
ნაშთი წლის დასაწყისში	(142)	(142)
მოგება-ზარალში აღიარებული რეზერვი	-	-
ნაშთი წლის ბოლოს	(142)	(142)

13. ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
მომწოდებელზე გადახდილი ავანსები	159	93
სხვა აქტივები	13	36
სულ ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	129	199

14. ფული და ფულის ექვივალენტები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
თანხა ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1,042	731
თანხა ბანკში უცხოურ ვალუტაში	800	8
თანხა სალაროში	85	46
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,927	785

15. კაპიტალი

ჯგუფის აქციონერებს შორის წილობრივი გადანაწილება პერიოდების მიხედვით არის შემდეგი:

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
არჩილ გეგენავა	40.00%	40.00%
გიორგი ჩუბინიშვილი	60.00%	60.00%

2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით სააქციო კაპიტალი დაყოფილი იყო 75 ათას ცალ 1 ლარის ნომინალური ღირებულების ჩვეულებრივ აქციადა. 2017 წლის განმავლობაში, ჯგუფმა გააუქმა გამოსყიდული საკუთარი აქციები. შედეგად, გამოსყიდული საკუთარი აქციების ანგარიში გაინეტა სააქციო და საემისიო კაპიტალთან და სააქციო კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განისაზღვრა 68 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საემისიო კაპიტალი 3,773 ათასი ლარის ოდენობით (ერთეულებში). 2019 წლის განმავლობაში გაიზარდა საემისიო კაპიტალი 684 ათასი ლარის ოდენობით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საემისიო კაპიტალი შეადგენს 4,457 ათას ლარს, ხოლო სააქციო კაპიტალში ცვლილებები არ განხორციელებულა. 2023 და 2022 წელს სააქციო და საემისიო კაპიტალი დარჩა უცვლელი.

სხვა რეზერვი

კომპანიის მენეჯმენტმა რეინვესტირების მიზნით გადაწყვიტა 2018 და 2019 წლის გაუნაწილებელი მოგებიდან ცალკე გამოეყო რესტორნების და სასტუმროების წილი მოგება და ეს თანხა გამოიყენა ინვესტიციის განსახორციელებლად. შესაბამისად, 2017 და 2018 მოგების ნაწილი, რომელიც უკავშირდება სასტუმრო და სარესტორნო ბიზნესს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში გამოყოფილია სხვა რეზერვის სახით იმ წელს, როდესაც მოხდა გადაწყვეტილების მიღება გასანაწილებელი მოგებიდან გარკვეული სახსრების დარეზერვებაზე. კომპანიის მიერ 2018-2019 წლებში დარეზერვებული თანხა გამოყენებულ იქნა შვილობილი კომპანიის კაპიტალის შესავსებად.

2023 და 2022 წლებში სხვა რეზერვებში ცვლილებები არ განხორციელებულა.

16. სავაჭრო ვალდებულებები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ვალდებულებები მომსახურებიდან	334	201
ვალდებულებები მოწოდებიდან	362	645
ვალდებულებები იჯარაზე და ქონების მართვაზე	1,158	826
სულ სავაჭრო ვალდებულებები	1,853	1,672

17. მიღებული ავანსები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
მიღებული ავანსები	363	372
გადასახდელი ხელფასები	264	207
ანარიცხი	-	111
საპენსიო ვალდებულება	1	8
სულ მიღებული ავანსები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	628	698

18. პირობითი ვალდებულებები

სასამართლო დავა შემოსავლების სამსახურთან

მიმდინარეობს სასამართლო დავა შემოსავლების სამსახურთან, 2017 წლის 29 ნოემბრის შპს კოლორიტის საგადასახადო შემოწმების აქტით დარიცხულ ქონების გადასახადთან დაკავშირებით.

ჯგუფის მიერ გასაჩივრებულ იქნა გადაწყვეტილება შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტში, თუმცა 2018 წლის 26 ივლისის შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის მიერ გამოცემული ბრძანებით შპს კოლორიტს დამატებით დარიცხული თანხები არ შეუმცირდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებულ იქნა ფინანსთა სამინისტროს სისტემაში, რომელმაც 2019 წლის 5 ივნისის ბრძანების შესაბამისად, არ დააკმაყოფილა საჩივარი.

გამომდინარე იქიდან, რომ დავა გადასულია სასამართლოში, ჯგუფმა გადაწყვიტა შეექნა ანარიცხი მოსალოდნელ დამატებით გადასახდელ თანხებზე 111 ათასი ლარის ოდენობით.

ვალდებულებების შესრულება

ჯგუფს გააჩნია ვალდებულებები დაკავშირებული გარკვეული ფინანსური კოეფიციენტების შენარჩუნებასთან, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ბანკის სესხებთან. ასეთი ვალდებულებების შეუსრულებლობამ შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი შედეგები, მათ შორის, სესხის ღირებულების ზრდა და დეფოლტის გამოცხადება. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფი არ მოელის ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო ბანკიდან აღებულ სესხებზე პირობების გაუარესებას ან სხვა რაიმე სახის ქმედებებს.

19. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიის 60% იანი წილის მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი პირი არის გიორგი ჩუბინიშვილი.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

მოთხოვნები დაკავშირებული მხარის მიმართ

დაკავშირების სახე	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	26	31
მეკავშირე საწარმო	750	750
დამფუძნებელი	36	-

ვალდებულებები დაკავშირებული მხარის მიმართ

დაკავშირების სახე	2023 წლის 31 დეკემბერი	2022 წლის 31 დეკემბერი
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	418	243
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	-	-
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	26	1

რეალიზაცია დაკავშირებულ მხარეზე

დაკავშირების სახე	2023	2022
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	53	43
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	17	14
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	32	27

შემენა დაკავშირებული მხარისგან

დაკავშირების სახე	2023	2022
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	24	25
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	53	8
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული	24	24

უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები 2023 წლის მდგომარეობით შეადგენს 1,223 ათას ლარს, ხოლო 2022 წლის მდგომარეობით შეადგენდა 716 ათას ლარს.

20. საქმიანობის უწყვეტობა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც მ.შ. ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 1 ოქტომბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაცემამდე, მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

სს სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ (შემდგომში კომპანია) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაფუძნდა 2005 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 205073016.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ემ|გრუპის ბრენდის ქვეშ საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა სიდიდის ჰორეკა ობიექტების მართვა. ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის მის მართვაში შედიოდა 5 სხვადასხვა კონცეფციისა და საფასო სეგმენტზე პოზიციონირებული პროექტი:

რესტორნები:

- მეტეხის ჩრდილში;
- პურის სახლი;
- მასპინძელი;
- ოტიუმი;
- უბანი.

ჰორეკა სექტორის ობიექტების მართვის გარდა, კომპანია უზრუნველყოფს მსხვილი ორგანიზაციებისთვის სათაო ოფისებისა და სავსე ობიექტების მენეჯმენტს, მოვლა-შენახვისა და ქეითერინგის მომსახურებას.

კომპანია აგრეთვე უზრუნველყოფს BP საქართველოს დისტანციური ობიექტებისთვის ბანაკის მენეჯმენტს, მოვლა-შენახვისა და ქეითერინგის მომსახურებას, ასევე, BP-ის თბილისის ოფისის ქეითერინგის მომსახურებას ("BP პროექტი"). BP-ისთან სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში კომპანია წარმოადგენს რწმუნებულს.

კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ჩანტლაძის ქუჩა N40. კომპანიის სათაო ოფისი და საქმიანობის ადგილი არის ერთსა და იმავე მისამართზე.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია შემდეგი საწარმოების წილებს ფლობდა:

შვილობილი კომპანია	საქმიანობის სახე	2023	წილი/ხმის უფლება (%)
			2022
შპს „კოლორიტი“	უძრავი ქონების მართვა	50%	50%
შპს „ხოშტარია 2“	უძრავი ქონების მართვა	100%	100%
შპს „ჰორეკა ოპერატორი“	უძრავი ქონების მართვა	75%	75%

ჯგუფის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

ემ|გრუპი (დედა კომპანია)

კომპანიის მართვაში დღეისთვის შედის სხვადასხვა კონცეფციისა და საფასო სეგმენტზე პოზიციონირებული პროექტი. კომპანია მუდმივად აქცევს ყურადღებას კონკურენტების ზრდას და განვითარებას და მუდმივად

სს სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ითვალისწინებს ბაზარზე მიმდინარე მოვლენებსა და ფასთა ცვლას, რათა შევძლოთ ღირსეული კონკურენციის გაწევა და პირველობის მოპოვება.

კომპანია თვალყურს ადევნებს მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს და ცდილობს საინტერესო სიახლეები დანერგოს პრაქტიკაში. მუდმივად მიმდინარეობს კადრების გადამზადება და მაქსიმალურად ეწყობა ხელი მათ განვითარებას. ასევე ყურადღება ექცევა კონკურენტების ზრდასაც და მუდმივად ვითვალისწინებთ ქართულ ბაზარზე მიმდინარე მოვლენებსა და ფასთა ცვლას, რომლის მეშვეობითაც ვცდილობთ დავარეგულიროთ ჩვენი პროდუქტის ღირებულება და კონკურენცია უფრო გავზარდოთ. აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანიის თითოეულ ობიექტზე მუდმივ რეჟიმში წარმოებს წერილობითი თუ სიტყვიერი გამოკითხვები სერვისთან დაკავშირებით, რომელსაც ასევე, ძალიან დიდ ყურადღება ექცევა, რადგან მომხმარებლისა და ზოგადად საზოგადოების დაკვეთის და იდეების მოსმენა კომპანიას ყველაზე მეტად ეხმარება წინსვლაში. დღეისთვის ემ|გრუპი პირველი მენეჯმენტ ჯგუფია აღმოსავლეთ ევროპის HoReCa სექტორში, რომელიც 2008 წელს გახდა HACCP -ის კონცეფციით ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ISO9001:2000 სერტიფიკატის მფლობელი, ხოლო 2017 წელს უკვე ISO 22000:2005 სერტიფიკატი მოიპოვა.

კომპანიის სტრუქტურა:

კომპანიის უმაღლესი მმართველობის ორგანოა აქციონერთა კრება. ორგანიზაციის ოპერაციების ზედამხედველობას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, ხოლო ყოველდღიურ მართვას ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დანიშნული გენერალური დირექტორი.

ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან:

1. არჩილ გეგენავა (პირადი # 01030021428)
2. გიორგი ჩუბინიშვილი (პირადი # 01024001705)

სამეთვალყურეო საბჭო შედგება სამი წევრისაგან:

1. არჩილ გეგენავა (პირადი # 01030021428) - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;
2. გიორგი მიქაძე (პირადი # 01017003703) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
3. გიორგი ჩუბინიშვილი (პირადი #01024001705) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
4. ივანე ნიკოლაიშვილი (პირადი #01027012259) - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;
5. გენერალური დირექტორი: უჩა უგულავა

შვილობილი კომპანიები

შპს “კოლორიტისა”, შპს “ზომტარიას” და შპს „ჰორეკა ოპერატორი“-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დედა კომპანიისთვის სამართავად გადაცემული ჰორეკა ობიექტების ფლობა და გაქირავება. ორივე კომპანიის შემთხვევაში საკუთრებას წარმოადგენს მხოლოდ სამართავად გადაცემული უძრავი ქონება.

შპს კოლორიტი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კოლორიტი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომერი 206079312 , დარეგისტრირებულია 1997 წლის 11 სექტემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო,

სს სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

ქ. თბილისის, ისანი-სამგორის რაიონში, ქ. წამებულის გამზ., N29ა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები არიან:

დასახელება	% წილი
სააქციო საზოგადოება სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი ემ გრუპ	50%
ირმა პაპაშვილი	16.67%
დავით დუმბაძე	33.33%

დირექტორი: ანდრო შენგელია

შპს ხოშტარია 2

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხოშტარია 2“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომერი 404589147 , დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ 2019 წლის 29 ნოემბერს. კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, მთაწმინდის რაიონი, თამარ აბაკელიას ქ., N 3ა

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები არიან:

დასახელება	% წილი
სააქციო საზოგადოება სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი ემ გრუპ	100%

დირექტორი: ვახტანგ გოგუაძე

შპს ჰორეკა ოპერატორი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ხოშტარია 2“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომერი 406371439 , დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ 2022 წლის 20 ივლისს. კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, სამგორის რაიონი, თენგიზ ჩანტლაძის ქუჩა, N 40; თბილისი, დიდი ლილო, თეთრი ხევის დასახლება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები არიან:

დასახელება	% წილი
სააქციო საზოგადოება სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი ემ გრუპ	100%

სს სსსტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

მეკავშირე საწარმო

შპს ელვისი

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ელვისი“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო ნომერი 405405477, დარეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს მიერ 2020 წლის 30 ივლისს. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ირაკლი აბაშიძის ქ., N 3, ბ. 11.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მესაკუთრეები არიან:

დასახელება	% წილი
სააქციო საზოგადოება სსსტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი ემ გრუპ	30%
გიორგი ოთიაშვილი	7%
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს ლემონდუ გროუს კაპიტალი	24.5%
თორნიკე ტურიაშვილი	5.25%
გიორგი კონტუაძე	2.75%
გიორგი მორდესაშვილი	15.25%
ლუკა ჯაფარიძე	7.625%
ნიკა ხაზარაძე	7.625%

დირექტორი: გიორგი ყანჩაველი

2. ფინანსური მაჩვენებლები

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება (ათას ლარში)

	2023 წ.	2022 წ.
ამონაგები რეალიზაციიდან	32,122	22,973
ამონაგების მიღებასთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯები	(23,028)	(18,060)
საერთო მოგება	9,093	4,913
სხვა საოპერაციო შემოსავალი	791	801
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები	(7,088)	(4,661)
კომერციული ხარჯები	(524)	(284)
სხვა საოპერაციო ხარჯი	(373)	(140)
საოპერაციო მოგება	1,899	629
ფინანსური შემოსავალი	41	51
ფინანსური ხარჯი	(2)	(11)

სს სსსტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

უცხოური ვალუტის გადაფასებიდან მიღებული მოგება/ზარალი	4	3
მოგება დაბეგრამდე	1,943	671
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის სრული შემოსავალი განგრძობითი ოპერაციებიდან	1,943	671
შეწყვეტილი ოპერაციებიდან მიღებული ზარალი	-	-
წლის სრული შემოსავალი	1,943	671
წლის სრული შემოსავალი მისაკუთვნილებელი		
სათაო საწარმოს მესაკუთრეებზე	1,586	638
არამაკონტროლებელი წილი	357	33
წლის სრული შემოსავალი	1,943	671

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ათას ლარში)

	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	9,032	9,099
ინვესტიცია მეკავშირე საწარმოებში	750	750
არამატერიალური აქტივები	21	20
სულ გრძელვადიანი აქტივები	9,803	9,870
მიმდინარე აქტივები		
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	1,203	1,115
სავაჭრო მოთხოვნები	1,976	1,497
გაცემული სესხები	-	-
ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	172	130
ფული და ფულის ექვივალენტები	1,927	785
საგადასახადო აქტივი	193	130
სულ მიმდინარე აქტივები	5,471	3,656
სულ აქტივები	15,273	13,526
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	68	68
საემისიო კაპიტალი	4,458	4,458
სხვა რეზერვი	1,077	1,077
გაუნაწილებელი მოგება	4,484	3,116
სულ კაპიტალი	10,086	8,717
არამაკონტროლებელი წილი	2,379	2,153
სულ კაპიტალი	12,465	10,871
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მიღებული სესხები	-	-
საგადასახადო ვალდებულებები	327	286

სს სსსტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ
კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

სავაჭრო ვალდებულებები	1,853	1,671
მიღებული ავანსები და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	628	698
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2,808	2,656
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	15,273	13,526

3. არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები

კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება. როგორც დამყარებული, სს სსსტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი-ემ|გრუპ სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანია განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს აძლევს კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობას, საქმიან სამუშაო გარემოს და კონკურენტუნარიან ხელფასს.

ძირითადი მომწოდებლები და კლიენტები

კომპანია თანამშრომლობს 1,000-მდე მომსახურე და პროდუქციის მომწოდებელ კომპანიასთან. წლის დასაწყისში ხდება მომწოდებლების შეფასება და დაშვებული მომწოდებლების ნუსხის დამტკიცება. კომპანია აწარმოებს მუდმივ მონიტორინგს და სწავლობს მომხმარებლის განწყობას. ობიექტზე მოსულ სტუმრებს მომსახურების მიღების შემდგომ ურიგდებათ სპეციალური ბარათები (კითხვარები), რითაც შეუძლიათ შეაფასონ მიღებული მომსახურება და ხარისხი. ამასთან ერთად ონლაინ და სოციალური მედიის მეშვეობით ტარდება გამოკითხვები, რითაც უფრო ნათელი ხდება ობიექტების ძლიერი თუ სუსტი მხარეები.

4. განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე. ამავდროულად იმის ხაზგასმა, რომ მომხმარებლებს იგი სთავაზობს სანდო მწარმოებლების მიერ დამზადებულ ფართო ასორტიმენტის პროდუქციას, რასაც თან ახლავს უმაღლესი ხარისხის საგარანტიო მომსახურება.

5. განვითარების გეგმები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები: ჯგუფი ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ზრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, ჯგუფის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები.

საკრედიტო რისკი და მისი მართვის მექანიზმები

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება საქონლის/მომსახურების შემდგომი გადახდის პირობით მიწოდებით, რაც წარმოქმნის ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია

საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე და დამოკიდებულია ქვეყნის შიგნით არსებულ ზოგად ეკონომიკურ/პოლიტიკურ მდგომარეობაზე. ბიზნესის რენტაბელობა რა თქმა უნდა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სექტორში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს მომსახურებას შემდგომი გადახდის პირობით, შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით. შპს კოლორიტს და შპს ოტიუმს მოთხოვნები აქვს მხოლოდ დედა კომპანიასთან.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში. კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარსა და ევროში რაც წარმოიქმნება უცხოური კომპანიებიდან წარმოებული შესყიდვებით, მიღებული დაფინანსება სრულად კონცენტრირებულია ეროვნულ ვალუტაში.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი, თუმცა სასესხო ვალდებულების ნაშთიდან გამომდინარე, მენეჯმენტი არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის რისკს მნიშვნელოვან რისკად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მენეჯმენტი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს.

გენერალური დირექტორი

უჩა უგულავა

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებაზე. ადგილობრივი ბანკიდან აღებული სესხი პირდაპირ არის დამოკიდებული რეფინანსირების განაკვეთზე და შესაბამისად კომპანიას წარმოეშევა საპროცენტო განაკვეთის რისკი, თუმცა სასესხო ვალდებულების ნაშთიდან გამომდინარე, მენეჯმენტი არ განიხილავს საპროცენტო განაკვეთის რისკს მნიშვნელოვან რისკად.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს მფლობელებისთვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით.

მენეჯმენტი განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 1 ოქტომბერს.

გენერალური დირექტორი

უჩა უგულავა

